შპს "მარინე შიპინგ ენდ ფორვარდინგ "

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

შინაარსი 3

1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

2.სრული შემოსავლების და მოგება-ზარალის ანგარიშგება 4

3.კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 5

4.ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 6

5.ფინანსურ ანაგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის 7

6.ამონაგები 15

7.ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 16

8.ფინანსური ხარჯი 16

9.ფულადი სახსრები 16

10.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 17

11.მარაგები 17

12.ძირითადი საშუალებები 17

13.არამატერიალური აქტივები 18

14.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 18

15.ფინანსური და სხვა რისკების მართვა 19

16.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 21

1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ბალანსი	Dec-23	Dec-22
აქტივები		
მიწა	199,415	-
ძირითად საშუალებები	1,498,916	890,852
საინვესტიციოქონება	-	-
არამატერიალური აქტივები	731	1,034
გაცემული სესხები	-	-
სულგრძელვადიანი აქტივები	**1,699,062**	**891,886**
მიმდინარე აქტივები	-	-
მარაგები	101,400	46,355
დებიტორები/ დარიცხული მოთხოვნები	487,306	2,072,460
გადახდილ ავანსები	297,988	247,944
საგადასახადოაქტივი	-	-
სხვა აქტივები	1,008,628	46,616
ფული და ფულის ექვივალენტები	395,952	138,169
სულმიმდინარე აქტივები	**2,291,274**	**2,551,544**
სულაქტივები	**3,990,366**	**3,443,430**
კაპიტალი და ვალდებულებები	-	-
კაპიტალი	-	-
საწესდებოკაპიტალი	3,335	3,335
გაუნაწილებელი მოგება	1,910,517	2,551,020
	-	-
სულკაპიტალი	**1,913,852**	**2,554,355**
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი სესხები	570,989	273,772
ანარიცხები	-	-
სულგრძელვადიანი ვალდებულებები	**570,989**	**273,772**
	-	-
მიმდინარე ვალდებულებები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	356,784	613,753
სესხის მიმდინარე ნაწილი	2,478	-
მიღებული ავანსები	1,136,098	-
გადასახდელ ხელფასები	1,740	1,550
საგადასახადოვალდებულებები	8,384	-
გადასახდელ დივიდენდები	-	-
სხვა ვალდებულებები	40	-
სულმიმდინარე ვალდებულებები	**1,505,524**	**615,303**
სულვალდებულებები	**2,076,513**	**889,075**
სულკაპიტალი და ვალდებულებები	**3,990,366**	**3,443,430**

1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ბალანსი	Dec-23	Dec-22
აქტივები		
მიწა	199,415	-
ძირითადი საშუალებები	1,498,916	890,852
საინვესტიციო ქონება	-	-
არამატერიალური აქტივები	731	1,034
გაცემული სესხები	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	**1,699,062**	**891,886**
მიმდინარე აქტივები	-	-
მარაგები	101,400	46,355
დებიტორები/ დარიცხული მოთხოვნები	487,306	2,072,460
გადახდილი ავანსები	297,988	247,944
საგადასახადო აქტივი	-	-
სხვა აქტივები	1,008,628	46,616
ფული და ფულის ექვივალენტები	395,952	138,169
სულ მიმდინარე აქტივები	**2,291,274**	**2,551,544**
სულ აქტივები	**3,990,366**	**3,443,430**
კაპიტალი და ვალდებულებები	-	-
კაპიტალი	-	-
საწესდებო კაპიტალი	3,335	3,335
გაუნაწილებელი მოგება	1,910,517	2,551,020
	-	-
სულ კაპიტალი	**1,913,852**	**2,554,355**
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
გრძელვადიანი სესხები	570,989	273,772
ანარიცხები	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	**570,989**	**273,772**
	-	-
მიმდინარე ვალდებულებები	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	356,784	613,753
სესხის მიმდინარე ნაწილი	2,478	-
მიღებული ავანსები	1,136,098	-
გადასახდელი ხელფასები	1,740	1,550
საგადასახადო ვალდებულებები	8,384	-
გადასახდელი დივიდენდები	-	-
სხვა ვალდებულებები	40	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**1,505,524**	**615,303**
სულ ვალდებულებები	**2,076,513**	**889,075**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**3,990,366**	**3,443,430**

2.სრული შემოსავლის ანგარიშგება

პერიოდის მოგება-ზარალის უწყისი		2023		2022
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან		**9,636,990**		14,577,002
მომსაურების თვითღირებულება	-	**8,528,488**		
საერთო მოგება		**1,108,503**		**14,577,002**
		-		
ადმინისტრაციული ხარჯები	-	16,497	-	12,682,139
ხელფასი	-	322,419	-	631,593
სატრანსპორტო ხარჯი		-		
კომუნალური ხარჯები	-	15,898		
სამეურნეო სხვა მასალების ჩამოწერა	-	13,107		
იჯარა	-	5,400	-	4,800
საწვავის ხარჯი		-		
მივლინების ხარჯი	-	48,282		
საკონსულტაციო ხარჯი		-		
დაზღვევა	-	39,971		
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-	56,322	-	64,521
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	213,606		
საოპერაციო მოგება		**377,001**		**1,193,949**
კურსთა შორის სხვაობითმიღებული მოგება /ზარალი	-	25,931		-
საპროცენტო შემოსავალი		-		-
საპროცენტო ხარჯი	-	33,703	-	14,917
ფინანსური მოგება		**317,367**		**1,179,032**
სხვა შემოსავალი		72,646	-	73,606
სხვა ხარჯები	-	523,287	-	22,322
მოგება გადასახადამდე	-	**133,274**		**1,083,104**
მოგების გადასახადი	-	76,836	-	145,673
პერიოდის მოგება/ზარალი	-	**210,110**		**937,431**

დირექტორი:

მთ ბულალტერი:

2.სრული შემოსავლის ანგარიშგება

პერიოდის მოგება-ზარალის უწყისი		2023		2022
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან		**9,636,990**		14,577,002
მომსაუხრების თვითღირებულება	-	**8,528,488**		
საერთო მოგება		**1,108,503**		**14,577,002**
		-		
ადმინისტრაციული ხარჯები	-	16,497	-	12,682,139
ხელფასი	-	322,419	-	631,593
სატრანსპორტო ხარჯი		-		
კომუნალური ხარჯები	-	15,898		
სამეურნეო სხვა მასალების ჩამოწერა	-	13,107		
იჯარა	-	5,400	-	4,800
საწვავის ხარჯი		-		
მივლინების ხარჯი	-	48,282		
საკონსულტაციო ხარჯი		-		
დაზღვევა	-	39,971		
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-	56,322	-	64,521
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	213,606		
საოპერაციო მოგება		**377,001**		**1,193,949**
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება /ზარალი	-	25,931		-
საპროცენტო შემოსავალი		-		-
საპროცენტო ხარჯი	-	33,703	-	14,917
ფინანსური მოგება		**317,367**		**1,179,032**
სხვა შემოსავალი		72,646	-	73,606
სხვა ხარჯები	-	523,287	-	22,322
მოგება გადასახადამდე	-	**133,274**		**1,083,104**
მოგების გადასახადი	-	76,836	-	145,673
პერიოდის მოგება/ზარალი	-	**210,110**		**937,431**

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

3.კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

კაპიტალის მოძრაობის უწყისი	Charter capital/საწესდებო კაპიტალი	Retained earnings/გაუნაწილებელი მოგება	Total/ჯამი
ბალანსი 29/02/2022	**3,335**	**2,551,020**	**2,554,355**
პერიოდის მოგება/ზარალი		(210,110)	(210,110)
დივიდენდები		(430,392)	(430,392)
საწესდებოკაპიტალი			-
ბალანსი 31/12/2023	**3,335**	**1,910,518**	**1,913,853**

დირექტორი:

მთ ბუღალტერი:

3.კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

კაპიტალის მოძრაობის უწყისი	Charter capital/საწესდებო კაპიტალი	Retained earnings/გაუნაწილებელი მოგება	Total/ჯამი
ბალანსი 29/02/2022	**3,335**	**2,551,020**	**2,554,355**
პერიოდის მოგება/ზარალი		(210,110)	(210,110)
დივიდენდები		(430,392)	(430,392)
საწესდებო კაპიტალი			-
ბალანსი 31/12/2023	**3,335**	**1,910,518**	**1,913,853**

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

4.ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციოსაქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(133,274)	937,431
კორექტირებები:		
მოგების გადასახადი	76,836	145,673
ცვეთა და ამორტიზაცია	56,322	64,521
მოგება-ზარალ ძირითადი საშუალების გასვლიდან		51,189
საპროცენტო ხარჯი	33,703	14,917
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი	(25,931)	(73,606)
ფულადი ნაკადები სამუშაოკაპიტალს ცვლილებამდე	**7,654**	**1,140,125**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	1,585,154	(357,377)
გაცემული ავანსების ცვლილება	(50,044)	
სასაქონლომატერიალური მარაგების ცვლილება	(55,045)	(10,106)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება	(256,969)	(673,332)
გადახდილი გადახასადები	(548,632)	(143,059)
მიღებული ავანსების ცვლილება	1,136,098	
გადახდილი პროცენტი	(33,703)	(14,917)
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში	(962,012)	
ცვლილებები გადასახდელებსებში	190	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციოსაქმიანობიდან	**822,692**	**(58,666)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციოსაქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ყიდვა/გაყიდვითმიღებული და გადახდილი თანხები	(437,003)	(158,037)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციოსაქმიანობიდან	**(437,003)**	**(158,037)**
ფულადი ნაკადები საფინანსოსაქმიანობიდან		
სესხის მიღება/გადახდა	297,217	273,770
განაწილებული დივიდენდი საწესდებოკაპიტალს ზრდა / (შემცირება)	(430,392)	(790,136)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსოსაქმიანობიდან	**(133,175)**	**(516,366)**
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფული და ფულის ექვივალენტებზე	5,270	73,606
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	**257,783**	**(659,463)**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	**138,169**	**797,632**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**395,952**	**138,169**

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:

4.ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	(133,274)	937,431
კორექტირებები:		
მოგების გადასახადი	76,836	145,673
ცვეთა და ამორტიზაცია	56,322	64,521
მოგება-ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან		51,189
საპროცენტო ხარჯი	33,703	14,917
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი	(25,931)	(73,606)
ფულადი ნაკედები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე	**7,654**	**1,140,125**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება	1,585,154	(357,377)
გაცემული ავანსების ცვლილება	(50,044)	
სასაქონლო მატერიალური მარაგების ცვლილება	(55,045)	(10,106)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება	(256,969)	(673,332)
გადახდილი გადახასადები	(548,632)	(143,059)
მიღებული ავანსების ცვლილება	1,136,098	
გადახდილი პროცენტი	(33,703)	(14,917)
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში	(962,012)	
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	190	
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**822,692**	**(58,666)**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ყიდვა/ გაყიდვით მიღებული და გადახდილი თანხები	(437,003)	(158,037)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(437,003)**	**(158,037)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება/გადახდა	297,217	273,770
განაწილებული დივიდენდი საწესდებო კაპიტალის ზრდა / (შემცირება)	(430,392)	(790,136)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**(133,175)**	**(516,366)**
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფული და ფულის ექვივალენტებზე	5,270	73,606
ფული და ფულის ექვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	**257,783**	**(659,463)**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	**138,169**	**797,632**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**395,952**	**138,169**

დირექტორი:

შთ. ბუღალტერი:

5.ფინანსურ ანაგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1.ზოგადი ინფორმაცია

შპს „მარინე შიპინგ ენდ ფორვარდინგ" (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2010 წლის 9 მარტს და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. კომპანიის საიდენტიფაკაციო ნომერია 415080263, იურიდიული მისამართია: ქ. ფოთი ვაჟა-ფშაველას ქ №66 ფაქტიური მისამართი: ქ.ფოთი ვაჟა-ფშაველას ქ. №66

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების ორგანიზება. კომპანია უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა. მისი საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები არის ერთი ფიზიკური პირი:

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლები არ გააჩნია.

კომპანიის მმართველობის ორგანოა პარტნიორთა კრება.

2.მომზადების საფუძველი

ანგარიშგება მოიცავს საანგარიშგებო პერიოდს 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ამ პერიოდში მომხდარი სამეურნეო ოპერაციები განზოგადებულია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში: პერიოდის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში: საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში პერიოდის დასასრულისთვის, პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში და ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

კომპანიას გააჩნია დადებითი საბრუნავი კაპიტალი, კომპანიის მთლიანი აქტივები აჭარბებს მთლიან ვალდებულებებს. კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას და კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა.
აღნიშნული ფაქტორების შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობა თვლის, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია, ქართულ ლარში.
მსს ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2024 წლის 28 სექტემბერს.

3.არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს სტანდარტის საფუძველზე მოსამზადებლად განისაზღვრა შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ კომპანიის პირობებში არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა, იგი თანმიმდევრულად არის გამოყენებული ამ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდებთან მიმართებაში. საანგარიშგებო პერიოდში ხელმძღვანელობას არ გაუკეთებია რაიმე მნიშვნელოვანი მსჯელობა გარდა შეფასებებისა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე აღიარებულ თანხებზე.

სამეურნეო ოპერაციების შეფასებისას გამოყენებულია პირვანდელი ღირებულებით შეფასების მეთოდი.

კომპანია ახდენს სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში შეფასებები და დაშვებები შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინასურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. მიხედევად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადები, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, მაგრამ ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი განსხვავება.

ბ) საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

ხელმძღვანელობამ კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ აქტივებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

გ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივ საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია უნდა იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე მოვლენებს.

3.1.ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მიერ დამატებითი ინვესტირების გარეშე.

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს გაწეული მომსახურეობიდან და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან.

შემოსავალი მომსახურეობიდან შემოსავლად მაშინ აღიარდება,როცა

- შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ განსაზღვრა. ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები აღიარდება კონტრაქტის შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.
- მომსახურების გაწევა პრქტიკულად ხდება მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში. კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში.

მზა პროდუქციის რელიზაციიდან შემოსავლების აღიარება

ამონაგები, საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

სხვა შემოსავლის აღიარება

გაწეული მომსახურებიდან მიღებული და მზა პროდუქციის რეალიზაციიდან შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

შემოსავლები აღიარდება დარიცხვის მეთოდის გამოყენებით და ნაჩვენებია დღგ-სა და ფასდათმობების გარეშე.
თანხები, რომელიც დარიცხულია გაწეული მომსახურებისთვის და/ან რეალიზირებულ პროდუქციაზე, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის ანაზღაურებული დამკვეთის/მყიდველის მიერ, წარსდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში "სავაჭრო და სხვა მოთხოვნები".

3.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფასს 30-ე განყოფილების "ოპერაციები უცხოურ ვალუტაში" მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაინგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - "კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება(ზარალი)"

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

სავალუტო მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები. დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2023₾
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9753

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2022₾
ლარი/1 აშშ დოლარი	2.7020
ლარი/1 ევრო	2.8840

3.3.ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შედგება ხელთ არსებული ბანკნოტებისაგან, მონეტებისგან და ბანკებში არსებული შეუზღუდავი მიმდინარე ანგარიშებისაგან.

3.4.ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის კონტრაქტი (გარიგება), რომელიც წარმოშობს, როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ინსტრუმენტები შედგება:

-ფინანსური აქტივებისაგან:

-ფინანსური ვალდებულებებისაგან:

-წილობრივი ინსტრუმენტებისაგან.

ფინანსური აქტივი ნებისმიერი აქტივია, რომელიც არის: ფულადი სახსრები, სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები, სახელშეკრულებო უფლება სხვა საწარმოსაგან მიიღოს ფული ან სხვა ფინანსური აქტივი, პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები, ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება, ან შესაძლებელია ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.

ფინანსური ვალდებულება არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც არის: საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება სხვა საწარმოს გადასცეს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივები; საწარმოს სახელშეკრულებო ვალდებულება პოტენციურად არახელსაყრელი პირობებით სხვა საწარმოს გაუცვალოს ფინანსური აქტივები ან ვალდებულებები; ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება, ან შესაძლებელია ანაზღაურდეს საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი (გარიგება), რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებიდან ყველა მისი ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის (ნეტო აქივებზე) საკუთრების უფლებას.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულება პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივის აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადაეცემა ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღირიცხება კომპანიის მიერ გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

3.5.ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარების აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გაანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.
ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ:

ჯგუფი	ცვეთის %
ავეჯი და სხვა ინვენტარი ინვენტარი სატრანსპორტო საშუალებები	 20% 10%

ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება, აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში , მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

3.5.არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

3.6.აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერილაური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე. ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლი აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსაცია აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვასთან საჭირო დანახარჯებით შემცირეული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

3.7.იჯარა

იჯარა, ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგებისა და ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე მოხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

3.8.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

3.9.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანია საქონლის და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში ხდება საეჭვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის დაუყოვნებლივ აღიარება მოგებაში ან ზარალში.

3.10.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

3.11.ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

3.12.დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტინთან აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება იმ პერიოდის ხარჯებში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულება შეიძლება შეფასდეს საიმედოდ. ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არ ყოფნის ფაქტი.

3.13.კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქიონირებადმა საწარმომ, ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

3.14.დივიდენდები

კომპანიის შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდები, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

წილობრივ მონაწილეობასთან დაკავშირებული დივიდენდების ასახვა ხორციელდება გაუნაწილებელ მოგებაში, მათი გამოცხადების პერიოდში.

3.15.ურთიერთგამოქვითვა

აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთგაქვითვას, ხოლო წმინდა ოდენობა ანგარიშგებაში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა წარმოებულ იქნას ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

6.ამონაგები

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლებად, რომელ პერიოდშიც იქნება გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიკური კონპესაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო ღირებულებით.

ამონაგები

	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან		
შემოსავალი მომსახურებიდან	9,636,990	14,577,002
ჯამი	**9,636,990**	**14,577,002**

7.ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიკური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

		2023	2022
ადმინისტრაციული ხარჯები	-	16,497	68,954
ხელფასი	-	322,419	631,593
		-	
კომუნალური ხარჯები	-	15,898	13,815
სამეურნეო სხვა მასალების ჩამოწერა	-	13,107	
იჯარა	-	5,400	4,800
საწვავის ხარჯი		-	
მივლინების ხარჯი	-	48,282	13,864
საკონსულტაციო ხარჯი		-	4,237
დაზღვევა	-	39,971	20,945
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	-	56,322	64,521
სხვა საოპერაციო ხარჯი	-	213,606	8,845,420
ჯამი	**-**	**731,502**	**9,668,149**

8.ფინანსური ხარჯი

.ფინანსური ხარჯი

		2023	2022
ბანკის სესხის პროცენტი	-	33,703	14,917
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი			
ჯამი	**-**	**33,703**	**14,917**

9.ფულადი სახსრები

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ფულადი სახსრები

	2023	2022
ფული სალაროში		
ფული საბანკო ანგარიშზე	395,952	138169
ჯამი	**395,952**	**138,169**

10.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022
დებიტორული დავალიანებები	487,306	1,680,444
საეჭვო ვალების ანარიცხი		
გადახდილი ავანსები	297,988	383,501
სხვა მოთხოვნები		8,515
ჯამი	**785,293**	**2,072,460**

11.მარაგები

მარაგები

	2023	2022
მზა პროდუქცია		8,014
ნედლეული		20,010
დაუმთავრებელი წარმოება		
სხვა მარაგები	101,400	18,331
ჯამი	**101,400**	**46,355**

12.ძირითადი საშუალებები

	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	მიწა	დაუმონტაჟებელი მოწყობილობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	ჯამი
31 დეკემბერი 2022	286,723		75,819		691,921		25,400			1,079,863
შემოსვლა			34,142		708,984	4,862	174,015		19,429	941,432
გასვლა			(5,748)		(28,245)					(33,993)
31 დეკემბერი 2023	286,723	-	104,213	-	1,372,660	4,862	199,415		19,429	1,987,302
ცვეთა და გაუფასურება										
31 დეკემბერი 2022	25,589		33,802		129,620					189,011
პერიოდის ცვეთა	8,929		11,465		88,244	81				108,719
გაუფასურება			-	-	-		-			-
გასვლა			(5,622)		(3,137)					(8,759)
31 დეკემბერი 2023	34,518	-	39,645	-	214,727	81	-		-	288,971
წმინდა საბალანსო ღირებულება										
31 დეკემბერი 2022	312,312	-	109,621	-	821,541		25,400		-	1,268,874
31 დეკემბერი 2023	252,205	-	64,568	-	1,157,933	4,781	199,415		19,429	1,698,331

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

13.არამატერიალური აქტივები

ამორტიზაცია დარიცხულია წრფივი მეთოდით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

14.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

14 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023	2022
სავაჭრო ვალდებულებები	356,784	442,105
გადასახდელი ხელფასები	1,740	1,550
ვალდებულებები პერსონალის მიმართ		21
გადასახდელი პროცენტები		
მიღებული ავანსები	1,136,098	
სხვა ვალდებულებები	40	171,627
ჯამი	**1,494,662**	**615,303**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

15.ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთებისა და სავალუტო რისკები. ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისთვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების

დაცულობა.

_ გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებამ კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;

_ შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;

_ შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. რისკების შეფასების შიდა პოლიტიკის მიხედვით, კომპანია ახდენს ახალი მომხმარებლების შეფასებას მასთან ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია ახდენს ახალი მომხმარებლების შეფასებას მასთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და პირობების შეთავაზებამდე. კლიენტის კრედიტუნარიანობის მაჩვენებელია მესამე მხარის მიერ მისი შეფასება/ დახასიათება (ამ ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის შემთხვევაში). კომპანია მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკს მომხმარებლებისთვის საკრედიტო ლიმიტების დაწესებით და აღნიშნული ლიმიტების მონიტორინგით.

კომპანია ახორციელებს ფინანსური აქტივების დარეზერვებას"ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება" მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიხედვით საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისათვის ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით: "ვადადაუმდგარი და გაუფასურების გარეშე", "ვადადამდგარი, მაგრამ გაუფასურების გარეშე", "ინდივიდუალურად გაუფასურებული" და "კოლექტიურად გაუფასურებული".

პირველი კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ არის ვადაგადაცილებული და არ ექვემდებარება გაუფასურებას.

მეორე კატეგორიაში ერთიანდება აქტივები, რომელიც არის ვადაგადაცილებული, თუმც ობიექტური მტკიცებულება მათ გაუფასურებასთან დაკავშრებით არ გამოვლენილა. ასევე, ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება აქტივები, რომელიც ვადაგადაცილებულია, თუმცა მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება და უზრუნველყოფა სრულად ფარავს აქტივის ღირებულებას.

მესამე კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელთა გაუფასურებაზე შემოწმება ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე და იქმნება შესაბამისი რეზერვი.

მეოთხე კატეგორიაში ერთიანდება აქტივები, რომელთა დაკავშირებითაც არსებობს გაუფასურების მტკიცებულება და კომპანია ქმნის ჯგუფურ რეზერვს.

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

კომპანიის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე , ფიანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს. ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება მათ საბალანსო ღირებულებას:

კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია რომ მას გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა რომ შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან-სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და ა.შ. საბაზრო ოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში არ იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი
- კონტროლების და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასანეიტრალებლად საჭირო კონტროლების პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

16.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ანგარიშგების ხელმოწერის თარიღის ჩათვლით დამატებით მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.